თიბისი ბანკი
TBC BANK

სს "თიბისი ბანკი", მარჯანიშვილის ფილიალი
JSC "TBC BANK", MARJANISHVILI BRANCH

274/124-02
23.05.2018

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს თბილისის არეგისტრაციო
სამსახურს

გაცნობებთ, რომ სს "თიბისი ბანკსა" და შპს „წისქვილი ჯგუფ"-ს (ს/ნ: 202200778) შორის 2014 წლის 30 სექტემბერსა და 2014 წლის 4 ნოემბერს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება N123123497247 და N123123497247 რომლის საფუძველზეც სს "თიბისი ბანკში" იპოთეკით დაიტვირთა შემდეგი ფართი:

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.20.01.108.011
მისამართი: ქალაქი თბილისი,დაბა წყნეთი,ქუჩა რუსთაველი,N10ა
დაზუსტებული ფართობი: 1014.00 კვ.მ. კვ.მ
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართობით 152 კვ.მ. და ნაგებობა N2

სს"თიბისი ბანკი" თანახმაა შენობა-ნაგებობა N2/1 დემონტაჟის შედგომ არსებულ ფართზე განხორციელდეს პროექტის მიხედვით გათვალისწინებული მშენებლობა.

სს „თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალის წარმომადგენელი

ბეჟან კოპაძე /----------/

თიბისი ბანკი TBC BANK 011130 TBCBGE22 204854595 MARJANISHVILI BR.

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

36991058608917

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170005361

რეგისტრაციის თარიღი

04.01.2017 წ

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა
მისამართი: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7.
ტელეფონი: 593373834

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათასჩვიდმეტი წლის ოთხ იანვარს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის №7, მომმართა **სს „თიბისი ბანკის"** *(ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის" შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17000365, 04/01/2017 12:43:19)* მარჯანიშვილის ფილიალის დირექტორმა **ნიკოლოზ გელაშვილმა,** რომელმაც მოითხოვა მასზე მინდობილი უფლებამოსილებების, თანახმად მინდობილობისა, დამოწმებული 27.12.2016 ნოტარიუს მ.გვაზავას მიერ, რეგ. **№161468481, ბეჟან კოპაძისათვის** გადანდობა, შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ნიკოლოზ გელაშვილმა** (დაბ. 08.12.1978 რუსთავში, მცხ. თბილისი, ხეთაგუროვის №4, პ/ნ №01030002190, ბარათის №12IA50997, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 17.08.2012) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

.

მინდობილობა

ორიათასჩვიდმეტი წლის ოთხ იანვარს **სს „თიბისი ბანკის"** *(ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის" შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17000365, 04/01/2017 12:43:19)* მარჯანიშვილის ფილიალის დირექტორმა **ნიკოლოზ გელაშვილმა** (დაბ. 08.12.1978 რუსთავში, მცხ. თბილისი, ხეთაგუროვის №4, პ/ნ №01030002190, ბარათის №12IA50997, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 17.08.2012) **ბეჟან კოპაძეს** (პ/ნ 01008024679), შემდეგში "რწმუნებულს", წინამდებარე მინდობილობით გადასცა შემდეგი უფლებამოსილებები:

1. „რწმუნებული" **ბეჟან კოპაძე** უფლებამოსილია **სს „თიბისი ბანკი"-ს** სახელით ხელი მოაწეროს ზემოხსენებული სერვისცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს, წერილს,ცნობასა და ხელშეკრულებას, მათ შორის, სერვისცენტრის მიერ გაფორმებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,იპოთეკის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,გირავნობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას,იპოთეკის,გირავნობისა და შეზღუდვის გაუქმების შესაბამის დოკუმენტაციას,თავდებობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,ოვერდრაფტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას და სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს,რაც აუცილებელი იქნება სერვისცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის.
2. ამ მინდობილობით **ბეჟან კოპაძეს** ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს „თიბისი ბანკის" ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში.
3. ეს მინდობილობა ძალაშია ორიათასჩვიდმეტი წლის ოთხი იანვრიდან ორიათასჩვიდმეტი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.
4. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.

ნიკოლოზ გელაშვილი:

საზღაური: 10.00 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად) და (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად) დღგ: 1.80 ლარი, სულ: 11.80 ლარი. რეგისტრაციის საფასური: 2.00 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

საქართველო. ნოტარიუსი მედეა გვაზავა * GEORGIA. NOTARY MEDEA GVAZAVA * 01008018186